

Nino Gujaraidze

From: "Nino Gujaraidze" <ngujaraidze@greenalt.org>
Date: Tuesday, October 01, 2013 6:18 PM
To: "FOI (MOE)" <foi@moe.gov.ge>
Subject: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე

წერილი #04/09/01-112

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ინგა ნიკაგოსიანს

ქალბატონო ინგა,

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. RMG Gold-სა და RMG Copper-ის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და გაცემულ ლიცენზიებში შესული ცვლილებების (მათ შორის გაუქმების) შეტანისათვის გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტის ასლი;
2. RMG Gold-სა და RMG Copper-ის მიერ 2012 წლის განმავლობაში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშების ასლი.

ასევე, თქვენი 2013 წლის 26 აგვისტოს №1672 წერილით მოწოდებული შპს RMG Gold-ისა და სს RMG Copper-ის 2012 წლის შემოკლებული საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის თანამად, კომპანიების „გარემოს დაცვის სამსახურის კვლევითი ლაბორატორიის (რომელიც ამჟამად ექვემდებარება ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიას) მიერ ხორციელდებოდა სისტემატიური ყოველდღიური მონიტორინგი ჩამდინარე წყლებზე დადგენილ წერტილებში“. ამავე დოკუმენტის თანახმად, ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია თან ერთვის ანგარიშს, მაგრამ გაუგებარი მიზეზით ჩვენ არ მოგვეწოდა. გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია, ან განგვიმარტოთ რა კრიტერიუმებით არის მიკუთვნებული ეს ინფორმაცია "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის გათვალისწინებულ კატეგორიას.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი
მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 27/29, II სართული
ტელ.: +995 32 292 773; ფაქსი: + 995 32 223 874
www.greenalt.org